გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . | 10 — | 6 . . | 6 — |
| 11 . . | 9 50 | 5 . . | 5 50 |
| 10 . . | 8 75 | 4 . . | 4 75 |
| 9 . . | 8 — | 3 . . | 3 50 |
| 8 . . | 7 25 | 2 . . | 2 75 |
| 7 . . | 6 50 | 1 . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბზუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი — საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1887 წელიწადი



გაზეთი „ივერია“ პირველის მარტიდამ წლის დამლევამდე ღირს 8 მ. 75 კ.

**ქართული თეატრი**

შაბათს, 14 მარტს

ქართულის დრამატიულის სცენის მოყვარეთაგან ა. თამაზიშვილის სასარგებლოდ გამართული იქნება:

ცხოველი სურათები

40 სანახავად

I

შოთა რუსთაველის პოემიდგან „ვეფხვის ტყაოსანი“.

II

ილია ჭავჭავაძის პოემიდგან „განდეგილი“.

III

დავით ერისთავის დრამიდგან „სამშობლო“.

IV

ანტონ ფურცელაძის პოემიდგან „თამარ დაზნელი“.

ანტრაქტებში დაუკრავს საზანდარი

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი 8 საათზედ.


ტფილისი, 9 მარტი

წინა წერილში*) მოვიყვანეთ გამოჩენილის პასტერის ნაცადი, რომ ყურძნის მარცვლის განზედ არის ერთგვარი მტვერი, თუ ჭაო, რომელიც ადუღებს ყურძნის წვენსა და ურომლისოდაც წვენი სრულებით არა ჰდუღს. აქედამ რა გამოდის? ის გამოდის, რომ ვინც ჭაჭას არ ჩააყოლებს ტკბილს, იგი იმას აკლებს, რაც დუღილსა ჰშველის და ხელს უმართავს. იმიტომ-რომ, თუმცა ნაწურს ტკბილს, ნამეტნავად ფეხით ნაწურს, იგი ამადუღებელი ჭაო გაჰყვება, მაგრამ უფრო მეტი კი ზედ ჭაჭას შეჰრჩება და ამიტომაც უჭაჭობა უნდა აუძლურებდეს დუღილსა და მით აგვიანებდეს და ახანებდეს. იქნება კიდეც ეს იყოს მიზეზი იმ ყველასაგან ცნობილი ამბავისა, რომ უჭაჭოდ ნადუღი ტკბილი გვიან დაწმინდდავდება, გვიან დაღვინოვდება ხოლმე, რადგანაც ადრე დაწმინდავება ღვინისა ადრე დადუღებაზეა დამოკიდებული. რა თქმა უნდა, რომ ჭაჭის მიცემა ტკბილის კარგად და მალე ადუღებისა და დადუღებისათვის ეგრე მეცნიერულად არ არის მიგნებული ჩვენში, როგორც პასტერს მიუგნია, მაგრამ გამოცდილებით კი უცვნია ჩვენებურს კაცს, რომ ღვინის კარგად ადუღებისათვის ჭაჭა საჭიროა.

*) იხ. „ივერია“ № 49.

გარდა ამისა ჭაჭა თეთრის ყურძნისა, თუ შავისა,—სხვა სამსახურსაც უწევს ღვინოსა: იგი ფერს აძლევს, ჰღებავს ღვინოს. თვითონ ევროპიელნი წითელის ღვინის დასაყენებლად შავის ყურძნის ჭაჭას აძლევენ დუღილის დროს, ისე როგორც ჩვენში ვიცით, იმიტომ-რომ საფერავი, თუ საღებავი ყურძნის მარცვლის განშია*). ეს საფერავი, როგორც შავს ყურძენსა აქვს, ისეც თეთრსა თავ-თავის-და-გვარად. ამ საფერავებით თეთრით თეთრს და შავით შავს ღვინოსა ვფერავთ ხოლმე როცა ჭაჭაზედ ვადუღებთ ტკბილსა, იმიტომ-რომ დუღილის დროს მარცვლის განსა ტკბილი გამოსწოვს ხოლმე საფერავსა და იღებება, თუ ნამეტნავად განი კარგად გასრესილია. ეს ვიცით და ჭაჭას სხვათა შორის ამისთვისაც ჩავაყოლებთ ხოლმე ტკბილსა. ხოლო ეს კი ზოგჯერ გვავიწყდება, რომ რაკი ღვინოს დავურევთ და ჭაჭა ძირს წავა და დაილექება, მას შემდეგ ჭაჭა აღარც შემდეგის ჩუმის დუღილისათვის არის საჭირო, აღარც საფერავად და თუ არ ახდენს, აღარას ჰშველის. ახლა გვეტყვიან: რად გინდათ რომ თეთრს ღვინოსაც ჰღებავთო? ჩვენც კიდევ ამას ვეტყვით: გაცია და გუნება. თუ ჭაჭის გამო წითელი ღვინო არა ჰხდება, რადგანაც თვითონ ევროპიელნი წითელის ღვინისათვის ტკბილს უსათუოდ ჭაჭაზედ ადუღებენ, თეთრის ღვინის ჭაჭაზედ დაყენება რად უნდა გვეყვედრებოდეს და არ-ცოდნაში გვეთვლებოდეს! თეთრი მოჭირებული ფერი ღვინისა მოსწონს ჩვენს ხალხსა და დღევანდელს ბაზარსა, ისე როგორც შავი მოჭირებული ფერი წითელის ღვინისა. ესეთი მოწონება იქამდე გაძლიერებულია ჩვენში, რომ ამ ბოლოს ხანებში სირაჯები სიყალბესაც კი აღარ ერიდებიან და სხვა და სხვა გვარ წამლებით თეთრს, მაგრამ მცქრალს ღვინოს განგებ მოჭირებულ ფერს აძლევენ.

*) იქნება ჩვენში არ იცოდეს ზოგმა, რომ შავის ყურძნის წვენი, ისე ფრთხილად გამოწურული რომ ტყავი მარცვლისა არ გაისრისოს, თეთრია, ანუ უკეთ ვსთქვათ, წყლის ფერია.

გლერტს რომ არ აცლიან და ტკბილს თან ჩააყოლებენ ჩვენში, ამასაც თავისი საბუთი ჰქონია და აქვს იმის გარდა, რაც წინად ვსთქვით. გლერტი ღვინოს კეთილ სუნნოვანობას ჰმატებს და გამძლეობის ღონეს აძლევს თურმე. გლერტში ერთგვარი ნაწევარია*) რომელიც ამ სამსახურს უწევს ღვინოსა. უამისოდ კეთილ სუნნოვანება და გამძლეობა იმოდენად არ გამოჰყვება თურმე ღვინოს ამას თვითონ მეცნიერი ღვინის მკეთებელი ტარდანი ამტკიცებს და, თუ ამას დავუჯერეთ, ღვინის გემოსაც-კი უფრო სასიამოვნოდა ჰხდის ის სიმყავე, რომელიც ენასა ჰკბენს და გლერტისაგან წარმოსდგებაო. გამოდის, რომ იმ სიკეთის გარდა, რაც გლერტზედ წინად**) ვსთქვით, — ეს სიკეთენიც გლერტის წყალობით ჰქონია ღვინოსა. არ ვიცით, ეს რამოდენად მართალია და თუ მართალია, მართალნი ყოფილან ჩვენებურნი ღვინის დამყენებელნიცა, რომელნიც უგლერტოდ ღვინოს არ ადუღებენ. თქმა არ უნდა, რომ ყველგან საჭიროა ზომიერება. ზომას გადამეტებული პურის ჭამაც კი მაწყინარია. ჩვენში კარგმა ღვინის მკეთებელმა და დამყენებელმა კარგად იცის რამდენი ჭაჭა და გლერტი მისცეს და ზომას თავის დღეში არ გადააცილებს. ჩვენში კარგად იციან, რომ გადაჭარბებული ჭაჭა და გლერტი ღვინოს ავნებს. ამაზედ იტყვიან ხოლმე, „დასწვავსო“ ღვინოს. მაშასადამე თუ ესეა, რომ გლერტი ღვინის გემოს არამც თუ აფუჭებს, აკეთებს კიდეც, და ამას გარდა სხვა სიკეთეც მოაქვს—რაღა საბუთი აქვთ წუნი დასდონ ჩვენს ღვინის კეთებას ამ მხრითა! თუ ეს გლერტის ჩაყოლება შეცდომაა და თუ ამისთანებში იმისთანა მეცნიერი ჰცდება როგორც ტარდანი, ჩვენ ეს შეცდომა რად უნდა გვეკიჟინოს აბრუ გაზვიადებულ გაბედვით და გადნიერებითა!

*) Дубильное вещество.

**) იხ. „ივერია“ № 64.

# ფელეტონი

## ფუჭაძე

(დასასრული*)

ჩვენ მოვიყვანეთ მხოლოდ ერთი ნიმუში ფუჭაძის ოცნებობისა. ამ ერთის ნიმუშითაც თქვენ ადვილად მიჰხვდებით, თუ რა ჯურისა უნდა იყოს მისი სხვა ფიქრები, რომლებიც უცნაურობით ზემოდ მოყვანილს ათასჯერ აჭარბებს. ჰხედავთ, რაზედ ჰფიქრობს? კაცობრიობა უნდა გავაბედნიერო ჩემის მოგონებითაო! ღმერთმა ხელი მოგიმართოს, ჩემო მეგობარო ფუჭაძევ! მაგრამ შენსავე უნებურად მაგ სიკეთისათვის დიდს სასყიდელს კი გეთხოვ დანარჩენს სიკვდილის შვილებს: შენ გვავალებ მკვიდრზედ უმკვიდრესი ძეგლი აგიშენოთ და შენი სახელი საშვილი-შვილოდ გარდავსცეთ უკუნით უკუნისამდე! მეტი ღონე არ არის, მადლისათვის უმადურობა დიდი განსაკიცხი საქციელია. შენის სამსახურისამებრ ჩვენ მიერ პატივ-საცემი იქნები. შენი უმორჩილესი მონა, როგორც შენი უკეთესი მეგობარი და მაშასადამე სხვაზედ უფრო მახლობელი, მოვალეა, ამ საგანზედ ზრუნვა კისრად იდვას. არც უარზედ ვდგევარ...

*) იხ. „ივერია“ № 49.

მოგიწვევთ თქვენ, მკითხველნო, ცოდვილნო სიკვდილის შვილნო, რათა ამ თავითვე შევემზადნეთ და ღირსეული სამახსოვრო აღვუშენოთ ჩემსა და თქვენს მეგობარს, ქვეყნისათვის მზრუნველს, გონიერებით აღჭურვილს ფუჭაძეს! მან კაცობრიობის ბედნიერებისათვის საჭიროდ ჰსცნა ჰაერი და მეც ძეგლის ამართვისათვის უკეთესს მასალას ვერ ვპოვებ! თიხას, ქვას, რკინას— ყველას ოდესმე ბოლო მოეღება, ყველას დანგრევა-დამხობა მოელის; ჰაერი კი ყოველთვის ჰაერად დარჩება; გადაგვარებას, ცვლილებას, შედარებით, ნაკლებად ემორჩილება; ამიტომ მოვილოთ ჰაერი, დავჭრათ ნაჭერ-ნაჭერ, ფიქალა-ფიქალად და ავაგოთ ეგვიპტურის პირამიდის სიმაღლის ძეგლი; რასაკვირველია, ჰაერისავე ნიადაგზედ, რადგან მიწის საფუძველი, სამკვიდრო, მისანდობელი არ არის. შემდეგ ავილოთ ჰაერის კალამი, ამოვაწოთ ჰაერისავე მელანში და ვუძღვნათ ჯეროვანი ზედ-წარწერა. (წარწერის შინაარსის შეთხზას მარტო მე არა ვკისრულობ). ამ სახით ჩვენ ზნეობრივ მოვალეობიდამ გამოველთ და შთამომავლობის წინაზე პასუხის გებაში აღარ ჩავცვივით; შთამომავლობასა, რომელსაც სრული სიმართლე ექნება, ჩვენ, როგორც ფუჭაძეს თანამედროვეთ, უკანასკნელის დაუფასებლობა, უმეცრებაში ჩამოგვართვას.

საზოგადოდ ჩვენ ყველანი სიარულით დედა-მიწაზედ დავდივართ, მაგრამ ფიქრითა და მოქმედებით კი ბევრი ჩვენთაგანი მაღლა სივრცეში დაჰფრინავს. ასე შეიძლება ითქვას ჩემს საყვარელს მეგობარს ფუჭაძეზედაც, რომელსაც, არ შეიძლება ვსთქვათ, ჰკუა აკლიაო. ჰკუა, ღვთის წინაშე, ბუნებით იმდენივე აქვს, რამდენიც ბევრს ჩვენ შორის პატივ-საცემთა; მაგრამ თითქმის სიყრმითგანვე მისმა ჰკუამ სწორე გზას გადუხვია და ისეთს ჰაობში შესტოპა, საიდგანაც გამოსვლა ბევრს არ შეუძლიან.

ფუჭაძემ ძლიერ ადრე დაუწყო ერთობ გაზვიადებით ცქერა თავის გონებრივ ძალ-ღონეს; ერთობ წვრილმანი და უმნიშვნელო ეჩვენებოდა მეგობართა და მახლობელთა ფიქრი და საქმენი. ის ყოველთვის განცალკევებით იდგა, ყველასაგან განშორებული იყო; არავის თავისთან ლაპარაკის ღირსადაც არა ჰხდიდა და ბოლომდის ასევე უჭირავს თავი. არც ერთს საზოგადო საქმეში თითქმის არავითარ მონაწილეობას არ იღებს. დიდი საკვირველება იქნება, წელიწადში ერთხელ რომელისამე საზოგადოების კრებას დაესწროს ხოლმე,—და თუ დაესწროება, მაშინაც მისი ტუჩები არ გაიხსნება და მისი სახე არ გაიღიმებს. უთუოდ დიდი, დიდი რამ საქმე უნდა ირჩეოდეს კრებაზედ, რომ მისნი ბაგენი გაიპონ და ერთის ანუ ორის სიტყვის ღირსი გაჰხადოს საზოგადოება.

ყველა ჩვენი საქმე, დაწყობილება თვალში ეპატარავება, ეხამუხება და ამიტომაც მონაწილეობის მიღებაც ეთაკილება. ის ყოველთვის ეძებს დიდს საქმეს, ეტანება ისეთს საგნებს, რომლის წინაშეც თვითოეული ჩვენთაგანი თავის უმეცრებას, უძლურებას თამამად და დაურცხვენელად აღიარებს თავის სინიდისის ქვეშ. „რას მიჰქარვენ, რას მიედ-მოედებიან, რა თავი აუგდიათ, თავის ქერქში რატომ არა დგებიან“,—ეს გახლავთ ფუჭაძის საყვარელი სიტყვები. ამ სიტყვებს აუცილებლად ჰხმარობს ხოლმე, როდესაც გაიგებს, რომ ესა და ეს საზოგადოება ანუ კერძო კაცი ამა-და-ამ საქმეს შეუდგაო. ასე გასინჯეთ, ქართულ თანამედროვე მწერლობასაც კი და ნემეტნავად ჟურნალ-გაზეთობას სრულიად არ ეწყობა, იმ საფუძვლით, რომ მათში სიცრუის მეტი არა იწერება-რა და მათი კითხვა ტყუილად დროს დაკარგვა იქნებაო. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ზოგი ერთს უბრალო და სხვისათვის ჩვეულებრივს საქმეში ხშირად სრულს უმეცრებას იჩენს ხოლმე.

* * *

უნდა მოგახსენოთ, რომ ფუჭაძეს მამისაგან საკმაო მამულ-დედული და სარჩო-საბადებელი დარჩა. ამიტომ იმისთვის რომელსამე დაწესებულებაში სამსახური სრულიად საჭირო არ იყო, თუმცა პირველ შემთხვევაში ორიოდე წელიწადი კი იმსახურა. ესეც მხოლოდ საზოგადო ჩვეულების მიხედვით: მოგეხსენებათ, ჩვენში ჯერ კიდევ არსებობს ერთი უცნაური აზრი? ასე ჰგონიათ, თუ ნასწავლი კაცი ხერხიანია, უსათუოდ რაიმე სამსახურში უნდა იყოსო. ფუჭაძეს ყოველთვის შეეძლო, თუ გაჭირვებულს ვისმეს ჰნახავდა, ცოტაოდენი ნივთიერი შემწეობა ეძლია ხოლმე. ასე მოიქცა ეს მხოლოდ ერთის ადამიანის შესახებ. ამას ჰყვანდა ობლად დარჩენილი ბიძაშვილი ქალი; ეს ქალი აიყვანა და თავის ხარჯით გაზარდა ტფილისის ერთს საშუალო სასწავლებელში.

ფუჭაძეს ბიძაშვილი ელენე სულ თექვსმეტის წლისა იყო, როდესაც უკანასკნელს კლასში იმყოფებოდა. სწორედ ამ ხანებში, ერთს დღეს, მისი კეთილის-მყოფელი ფუჭაძე ფიქრებში გართული თავის პატარა ოთახში კუთხიდამ კუთხამდე ბოლთასა სცემდა. ბებია მისი ჩვეულებისამებრ ხალიჩა დაფენილს ტახტზედ საფუძვლიანად მოკეცილი გახლდათ; მუხლებზედ მუთაქა ედო და მკლავებ-დაბჯენილი მძიმე-მძიმედ კრიალოსნის თვითო მარცვალი ერთის მხრიდგან მეო-

# ახალი ამბავი

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ტფილისში განუზრახავთ სასოფლო გაზეთის დაარსება. თხოვნა უკვე გაგზავნილიაო და, როგორც ამბობენ, სულ მოკლე ხანში ნება-რთვაც მოვა მთავრობისაგანაო. რედაქტორად ასახელებენ კიდეც ერთს ახალგაზდა ქართველს კაცს, რომელსაც სამეურნეო განათლება აქვს მიღებული.

*** ტფილისის საქალაქო გამგეობასთან დაარსებულს სასკოლო კომიტეტს განუზრახავს, რომ საქალაქო პირველ-დასაწყისს სკოლებში, სამის წლის მაგიერ, ოთხის წლის კურსი იქმნას შემოღებული. ამ ჟამად ამ სკოლებში თითო მასწავლებელია და თითოეულს სამ-სამი განყოფილება აბარია. ოთხის წლის კურსის შემოღება თითოეულს მასწავლებელს ერთს განყოფილებას კიდევ მოუმატებს, რაიცა ძალიან ძნელია ერთის კაცისათვის და სწავლების საქმესაც დააბრკოლებს. ამ დაბრკოლების ასაცილებლად, კომიტეტი ჰფიქრობს, რომ მასწავლებლებმა ერთს წელიწადს არ მიიღონ ხოლმე ყმაწვილები სკოლაში და ამ სახით მხოლოდ სამს განყოფილებასთან იქონიონ საქმე.

*** სიღნაღიდგან გვწერენ, რომ სოფელს მაღაროში, რომელიც სიღნაღს ახლოა, რიგიანად მიდის სასოფლო სკოლის საქმეო. ამ სკოლაში სულ 80 შეგირდია და ყმაწვილები დიდის ხალისითა სწავლობენო.

*** ბარათაანთ მამულში აღმოჩენილი მადანი სალიტოგრაფიო ქვისა ძალიან მდიდარი მადანი გამომდგარა. როგორც ამბობენ, ამ მადნიდამ სულ ცოტა სამის მილიონის მანათის სალიტოგრაფიო ქვა ამოვაო.

*** ქართლიდამ გვწერენ: იანვარში სოფ. ნიქოზიდამ მომავალებულან მაყრები ტახტიძირისაკენ, — ეს სოფელი ფრონის ხეობაზე მდებარეობს. მაყრები ძალიან დალეულები ყოფილან; გზა არევიათ; ერთი მათგანი უკან ჩამორჩენილა, ღამე კარში დასძინებია და გაუყინავს. ეს გლეხი გვარად ტეფნაძე ტახტიძირელი ყოფილა.

*** იქიდამვე გვატყობინებენ: სოფ. საბუეში, ს. ფლავს ზემოდამ, გორის მაზრაში, ცოფიანმა მგელმა დაგლიჯა რამდენიმე კამბეჩი და ერთი კაცი; ამ კაცს პირი-სახეში სცემია და სულ ერთიანად დაუსახიჩრებიაო. ეჭვი არ არის, რომ ეს მგელი ნამდვილად ცოფიანი იყოვო. წელს მაინც ერთობ გახშირდა ცოფიანი მგელი და ძაღლი და შველა კი არსაით არისო.

*** შორაპნის მაზრიდამ გვწერენ: აქ ერთი სნეულება გაჩნდა და ძალიან დიდს ზარალს აძლევს ხალხს, ამბობენ, რომ ხურვება არისო. როგორც ყოველთვის არის ხოლმე გაჭირებაში, ამ შემთხვევაშიაც გულ-შემატკივარი კაცი გამოუჩნდათ აქაურებს და ექიმობა დაიწყო. თითო ბოთლს წამალში ეს ექიმბაში ხუთს მანათს ახდევინებს ხალხს. ეს წამალი დაალევინეთ ავად-მყოფსაც და კარგად-მყოფსაცაო. ავად-მყოფს მოარჩენს და კარგა-მყოფს სენი აღარ გამოაჩნდებაო, გვეუბნება; მაგრამ იმის წამალმა სატკივარს ვერა უშველა-რა და ხალხი-კი გაიყვლიფა. სასურველია, რომ მთავრობამ ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას და გამოაძიებინოს ნამდვილს ექიმს, რა წამალია ის წამალი, რომელსაც ჩვენებური ექიმბაში ხმარობსო.

*** ქართლიდამ გვწერენ, რომ დიდს ზამთარს და უამინდობას სხვა-და-სხვა სატკივარი მოჰყვაო. ფრონის ხეობაზე ძალიან გავრცელებულია ყმაწვილების სატკივარი, რომელსაც სურდო-ხველას ეძახიანო. ღვთით ამ სატკივარს, თუმცა ძრიელ არის გავრცელებული, ჯერ-ჯერობით ზარალი არა მოაქვს-რაო.

*** ამას წინად ერთს ახალ-გაზდა კაცს გაუცილებია თავისი ძმა, რომელიც ერევანს თურმე მიდიოდა და ტფილისის რკინის გზის სადგურიდამ ღამის 11 საათზედ ფეხით დაბრუნებულა უკან ქალაქში. ერთს ბნელს ქუჩაში ამ ყმაწვილს კაცს დახვედრია სამი კაცი და ამოღებულის ხანჯლებით დასდგომია თავს: ფული მოგვეციო. შეშინებულს ახალ-გაზდასყვირილი დაუწყვია და ავაზაკები გაქცეულან.

*** გუშინ-წინ, 8 მარტს, სოლოლაკში ცოფიანმა ძაღლმა ოთხი კაცი დაჰგლიჯა. ამათ შორის ორი ყმაწვილი ყოფილა. პოლიციელებმა რევოლვერით მოჰკლეს ძაღლი. ჯერ-ჯერობით გადაწყვეტით არავინ იცის, ცოფიანი იყო მართლა ის ძაღლი, თუ არაო.

*** გუშინ რუსეთისა და სამზღვარ-გარეთის ფოსტა ზვავების გამო არ მოსულა ტფილისში.

*** დღეს, 10 მარტს, საღამოს 7 1/2 საათზედ კავკასიის სამედიცინო გამგეობის სადგურში, საპერნის ქუჩაზედ, ისარლოვის სახლებში, კავკასიის სამედიცინო საზოგადოებას კრება აქვს დანიშნული. კრებაზედ გარეშე პირთაც შეუძლიანთ დაესწრონ. საგანნი განხილვისა: 1) მიმომდინარე საქმენი; 2) ს. ი. ვაცაძის მოხსენება: „როგორ გაიარა 401-ის სახადიანის ავადმყოფობამ“, და სხვანი.

*** 15 მარტს ბანკის თეატრში დანიშნულია ბ-ნის ვ. ალენიაშვილის ხოროს კონცერტი.

*** ხუთშაბათს, 12 მარტს, ბანკის თეატრში ბერლინელი ალფრედი ბერენსი აჩვენებს ბევრს მაგალითს სპირიტების წინააღმდეგ. ამ მაგალითებით იგი აპირობს აუხსნას საზოგადოებას, რომ სპირიტულნი მოვლენანი ბუნებურის ძალით აიხსნებაო.

*** გაზ. „ნოვ. ობოზ.“ ამბობს, რომ აქაურ ცხენის რკინის-გზის საზოგადოებას განზრახვა აქვს იტვიროთის ბაქოშიაც ცხენის რკინის-გზის გაკეთებაო.

*** იმავე გაზეთს სწერენ ბათუმიდამ, რომ ამ დღეებში აქ ისეთი ბურუსი და ნისლი ჩამოაწვა შავს ზღვას, რომ ხომალდებს სიარულს უშლიდაო.

*** ამავე გაზეთმა დაბეჭდა ამას წინად კორრესპონდენცია თეირანიდამ. ამ კორრესპონდენციაში დაწვრილებით იყო აღწერილი, რომ სპარსეთის შაჰი გაემგზავრა თეირანიდამ და დიდის ამალით მოგზაურობსო და სხვანი. ამ ამბის გამო გაზ. „კავ. ობოზ.“ ამბობს, ჩვენ ნამდვილის წყაროებიდამ შევიტყეთ, რომ მისი უდიდებულესობა სპარსეთის შაჰი დღესაც თეირანში ბრძანდება და არსად არ გამგზავრებულაო.

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. თერჯოლა (შორაპნის მაზრა). უკუღმართს სოფელს რომ იტყვიან, სწორედ ჩვენი სოფელია. რაღაც უცნაურს ვარსკვლავზედ გაჩენილან აქაურები. 500 კომლი კაცია ამ სოფელში და არავითარი სიკეთე-კი არ აყრიათ. სკოლა არცა გვაქვს აქამდე და არც ჰფიქრობს ვინმე ამისათვის. რაცა გვაქვს, იმის გამოც მუდამ-დღე ვკანკალებთ და შიშითა ვდნებით, ხელიდამ არ გამოგვეცალოსო. ისეა ჩვენში გახშირებული ქურდობა, რომ იმედი არა გვაქვს, რაც დღეს ჩვენია, ის ხვალ სხვისა არ შეიქნეს. ამბობენ, აჭარელი თათრები ქურდობენ აქაო, მაგრამ რა სათქმელია, აჭარელი თათრები-კი არა, თითონ აქაურებივე არიან. და აბა შინაურს ქურდს რა გაიმაგრებს? სახლი გაქვს, იმას შემოგნატრიან და ან დაგიწვავენ, ან სხვას რასმე აგიტეხენ, ცხენი გყავს კიდევ და ისიც შენი არ არის. ტყუილად დაუწყებ ტრფიალს შენს საქონელს, ხვალ მოელენ და ისე გამოგაცლიან ხელიდამ, თითქო თავის-დღეში შენი არც-კი ყოფილიყოს: მიანებებ თავს — ძნელია, დაუწყებ უკან დევნას და უარესია — ცოლშვილი უპატრონობით უარესს ყოფაში ჩაგივარდება, ან სხვა რასმე ნაწილს დაჰმართებენ შენს სახლსა და ოჯახს შენის შინ არ ყოფნის დროს. თუ ღვინო გაქვს — წელს ღვთის მადლით ღვინო არ მოვიდა ჩვენში — მისი ჰაშნიკი შენზე უწინ სხვამ უფრო იცის. ამას წინად, სულ ორი სამი თვეე არ იქნება, ცხრა ცხენი ერთად მოიპარეს და წაასხეს. მერე რა ეშმაკურად! ვინც იპარავს, თავის საქონელსაც თან აყოლებს, ვითომ და რაღა, მეც დავკარგეო. გაქურდულსაც, და ქურდსაც ერთი ალიაქოთი შეუდგებათ ხოლმე და ვერავინ ვერ არჩევს, ვინ დაზარალდა და მართლა ვინ დაიჩაგრა ქურდობისაგან.

ასეთს ყოფაშია თერჯოლა და შენი მტერი, თუ ან ჩვენ თითონვე და ან სხვამ წამალი რამ არ დავსდეთ ჩვენს გაჭირებას, შეიძლება ბოლოს იქამდე მივიდეს ავ-კაცობა, რომ ერთმანერთს ჩოხების ხდა დავუწყოთ, ან მასრები ვტაცოთ და როცა ესეც არ დაგვეშლება, იქნება ერთმანერთის ხოცვასაც მივჰყოთ ხელი.

ლენტორა ეწრელი

ახალციხე, 25 თებერვალს. რუსეთის შიდა გუბერნიებში რომ ეისმეს უთხრათ, დეკემბერში ვარდი ყვავისო, არ დაგიჯერებენ. გეტყვიან, ჩვენს სახელმწიფოში იმ გვარი თბილი და ჰავაზომიერი ადგილი არ მოიპოვება, სადაც ეგ შეიძლებოდესო; ათას ნაირადაც რომ დაუმტკიცო, მაინც ვერ დააჯერებ, ძნელი დასაჯერებელიც არის. მართალია, ძველად, როგორც გარდმოცემა გვეუბნება, საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებში იანვარშიაც კი ყოფილა «ვარდი დაუმზრალი», მაგრამ ეხლა ეს გარდმოცემა აღარა გვწამს.

დღეს ჰავა შეიცვალა, სიცივეებმა

---

რესკენ გამოჰქონდა ქვემოთა ტუჩის თამაშით, თითქო სთვლიდა, აცა რამდენი დღე სიცოცხლე-ღა დამრჩენიაო. უცებ კარების ზარის ხმა მოისმა. მალე მოსამსახურე შემოვიდა და ფუჩაძეს დაბეჭდილი წერილი გარდასცა. ფუჩაძემ წერილი გახსნა და, რაკი შეამჩნია, რომ ელენესაგან იყო, ხმა-მაღლა დაიწყო კითხვა, ბებიასაც გავაგონოვო.

„საყვარელო ძიაჩემო, ასე იწყობოდა წერილი. გთხოვ იზვინენიე მიყო, რომ ისე პისმოს არ მოგწერავ, რომ შიგ რამე პორუჩენია არ ჩავწერო. რა ვქნა, რომ შენის მეტი სხვა როდსტვენიკი ჩემთვის ღმერთს არ მოუცია. ვიცი ძრიელ გესიამოვნება, რომ ქართველ ქალებს გრუზინსკი იაზიკის სწავლება დაგვაწყებინეს და, წარმოიდგინე, ამ ცოტა ხანში მშვენივრად გავიგეთ ყველაფერი! გრუზინსკი იაზიკის უჩიტელმა ამ ბოლო დროს მეექვსე კლასის ქალებს თორნიკე ერისთავის აკაკი წაგვაკითხა. ეხლა კიდევ გვიქო, რომ „ვისრამიანი“ მეტად კაი სოჩინენიე არისო. გთხოვ გაისარჯო და ნავრემიათ ეს წიგნი მათხოვო, რისაც მეც და ერთობ ჩემი პადრუგებიც დიდად მადლობელი დაგრჩებით.

შენი ელენე“.

— გენაცვალოს, შვილო, შენი დიდედა, ერთი კარგად გამაგონე, რას იწერება ელენე, რა წავიკითხეთო? ჰკითხა ფუჩაძეს ბებიამ, რომელიც სმენაზედ ცოტა უკაცრაოდ იყო.

— თორნიკე ერისთავის აკაკიო, დიდედ, უპასუხა ფუჩაძემ; მაგრამ, განაგრძო იმანვე, მგონია, იმ საძაგელს სახელები გადურევია: უეჭველად წიგნის სახელი ასე იქნება: „რაფიელ ერისთავის აკაკი“, ან ასეც შეიძლება — „აკაკის თორნიკე ერისთავი“, რადგან ჩვენ თორნიკე ერისთავი-კი არა გვყავს და რაფიელ ერისთავი და აკაკი გვყვანან მწერლები.

— ვინ არის, შვილო, ეგ აკაკი? ცნობის-მოყვარეობით ჰკითხა ბებერმა თავის შვილი-შვილს.

— აკაკი, დიდედ, ჩვენი გამოჩენილი მელექსეა. იმისი ლექსები სოფლის ბავშვებმაც კი ზეპირად იციან, ასეა მოფენილი ჩვენში.

— აბა, თავს შემოგევლოს შენი ბებია, ერთი იმისი ლექსი გამაგონე რამე, შვილო; ყმაწვილობაში მე საშინლად მიყვარდა ლექსების კითხვა, ეხლა კი — გულ-ამოსკვნით სთქვა ბებერმა — კამბეჩებსაც ვერ ვარჩევ, თვალი აღარ მიჭრის.

— მე, ბებიაჩემო, არც ერთი იმისი ლექსი ზეპირად არ ვიცი და იმის დაწერილი წიგნები კიდევ არა მაქვს, თორემ ადვილი იყო შენის სურვილის ასრულება, მიუგო ფუჩაძემ და პატარა სიჩუმის შემდეგ ისევ განაგრძო:

— ელენეს ჩემთან სათხოვარი აქვს; წიგნსა მთხოვს გამომიგზავნეო, მაგრამ არ ვიცი რა ვუყო: ეს წიგნი მე არა მაქვს.

— რა წიგნსა გთხოვს, გენაცვალოს ჩემი თავი, შვილო?

— «ვისრამიანს».

— ეგ ვილას დაწერილია?

— თუ იქნება, დიდედ, ან ილია ჭავჭავაძისა ან აკაკისა: კაი წიგნს აბა სხვა ვინღა დასწერდა? ელენე იწერება, მასწავლებელმა ძლიერ გვიქოვო.

ხშირად ასეთი საუბარი იცის ხოლმე ფუჩაძემ თავის ერთად ერთს გულითადს მეგობართან — მოხუცებულს ბებიასთან. ბებიასთან ლაპარაკის დროს ფუჩაძე ყველას შეეხება ხოლმე: ამ მთისასაც, იმ მთისასაც. ბებიაც გულმოდგინებით ყურს უგდებს და სტკბება შვილი-შვილის მოძღვრებითა, რომელსაც „ჭიკჭიკს“ ეძახის. აბა, შენი კვნესამე, ეტყვის ხოლმე ბებია როდესაც სმენის მადაზედ მოვა, ერთი იჭიკჭიკე და საამური მიამბე რამეო“. შვილის-შვილიც დაუყოვნებლივ უსრულებს თხოვნას: ხან რას უამბობს და ხან რას. უამბობს ხოლმე, მაგალითებრ, იმას, თუ ექიმები რა ოსტატურად ჩაუსხამენ ხოლმე ადამიანს ყველა კბილებს ერთად, ანუ რა მშვენიერი წამალი მოიგონეს მეცნიერებმა რწყილ-ბაღლინჯოების გასაწყვეტადა და სხვა. მოსმენისათანავე ბებია ყოველთვის უეჭველად თავის განცვიფრებას გამოაცხადებს ხოლმე და ფუჩაძეც ამით სრული კმაყოფილი რჩება.

ბებია ფუჩაძეს ცოლის შერთვაზედაც ხშირად ჩამოუგდებს ხოლმე ლაპარაკს; ყოველთვის ურჩევს და უმტკიცებს, რომ ცოლის შერთვა საჭიროა, რომ ძნელია და ღვთის საწყენიც არის უძეოდ დარჩენაო; მაგრამ ფუჩაძე მუდამ ერთსა და იმავე პასუხს აძლევს თავის კეთილის მსურველს ბებიას: „ჩემთვის, დიდედ, ცოლის შერთვა კარგი არ იქნება: მე ძლიერ გავერთობი და საქმეს მოვსცდები; სადღა შემეძლება მაშინ ქვეყნის სამსახური; ფიქრისათვის ვიღა მომაცლის; მე მინდა თავისუფალი ცხოვრება, მე მინდა თავისუფალი დრო, რომ გავაკეთო რამე და ჩემი სიცოცხლე ფუჭად არ ჩავატარო“.

ავი ენა კი ფუჩაძის უცოლოდ დარჩენის მიზეზად სხვა გარემოებას ასახელებს. ამბობენ, ყმაწვილობაში ფუჩაძეს გაგიჟებით მოსწონდა და უყვარდა ერთი ქალი, რომელსაც თურმე პირობაც მისცა, რომ თუ არ შენი, სხვის შემრთველი მე არა ვარო. მაგრამ ბედს უმტყუნებია და ამასაც სწორედ ის დღე დასდგომია, რა დღეც მეფე ლირის უმცროსს ასულს საბრალო კორდელიას. საქმე იმაშია, რომ ფუჩაძის სატრფოს თაყვანის-მცემელი სხვაცა ჰყოლია. ქალის გული, როგორც ხშირად ჰხდება ხოლმე, ორივეს დაუტყვევებია და ორივეს თითქმის ერთნაირის სიმძლავრით. ეტრფის ერთი, ეტრფის მეორე და ქალი საშინელს გაჭირებაში თურმე ჩავარდა: არ იცის, რომელს მისცეს უპირატესობა. ბოლოს, როდესაც დრო და ჟამმა მოაწია, ქალს ეს ხერხი მოუვიდა აზრად გაჭირვებიდგან თავის დახსნისათვის: „მოდი ორთავეს ვსთხოვ, რომ სათითაოდ წერილი მომწერონ და გამაგებინონ, ვის როგორ ვუყვარვარო. ვისაც უმეტესად ვეყვარები, შერთვითაც იმას შევირთავო“, იფიქრა და გარდასწყვიტა; გარდასწყვიტა და კიდეც აასრულა: წერილით სთხოვა ორთავეს, რომ მალე პასუხი შემატყობინეთო. რასაკვირველია, ქალის განზრახვა არც ერთმა სატრფომ არ იცოდა და არც ის იცოდნენ, თუ ერთმანეთის მოცილენი იყვნენ. ფუჩაძეს თურმე ორი კვირა ეფიქრნა, რა მივსწეროვო, ბოლოს ავილო, დაელო და ასე მიეწერნა: „ისე მიყვარხარ, როგორც განჯური ყურძენიო“. რა მისწერა მეორე ტარიელმა, გამოგიტყდებით, არ ვიცი; ხოლო რა გვარად მოეწონა ქალს ფუჩაძეს შედარება, სჩანს იქიდამ, რომ უკანასკნელი პირში ჩალა გამოვლებული დასტოვა.

ალ. მირიანაშვილი

იმატა, ვარდი ზამთრობით გარედ, ცის-ქვეშ აღარ იშლება. აქ, აფხაზეთში ჯერ-ჯერობით ისევ უწინდებური ჰავა არის, ქრისტეშობისთთვეში ვარდი ჰყვავის, ყურძენს ჰკრეფენ, ხეხილს ასხია, საქონელი გარედ ბალახობს და მინდვრად დადის. სიცივეები მაინცა და მაინც ძრიელ არ არის. თბილის ქვეყნებისა და სამხრეთის სათუთი მცენარენი გარედ, ცის ქვეშ ხარობენ. მაგალითად, ამ ჟამად რომ სოხუმში მობრძანდეთ, ზაფხული გეგონებათ, ისეთ ნაირად არის აქაური აგარაკები სამხრეთის მცენარეებით ამწვანებული. ამიტომაც არის რომ ამ ბოლო დროს ამ ქვეყანას მოაწყდა სხვა-და-სხვა თესლისა და მილეთის ხალხი. ყველას უკვირს აქაური ჰავა. მოდიან და აქ ესახლებიან, მაგრამ, საუბედუროდ, აქაურ ჰავას ერთი ცუდი ჩვეულება აქვს; ყოველ ზაფხულობით საძაგელი ციება იცის და, როგორც მოგეხსენებათ, უცხოელნი ვერ იტანენ ციებას და უმეტესი ნაწილი ციების მსხვერპლი შეიქმნება ხოლმე, ანა და ისევ უკან მიდის თავის სამშობლოში, გალატაკებული, წელში გატეხილი დასუსტებული, დასნეულებული უკან ბრუნდება თავის მამა-პაპათ ნადგომ ადგილზე; ვინ იცის, რამდენი მათგანი გზაში, მისვლამდინვე იხოცება. ამ ჟამად ხმა დავარდა აქ, ვითომ შავის ზღვის აღმოსავლეთის ნაპირებს ისეთი ხალხი უნდა შეურჩიონ დასასახლებლად, რომ ჰავამ არა ავნოს-რაო. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ასეთის ხალხის პოვნა ძნელია. თუნდა იპოვებოდეს კიდეც და ჰავასაც გაუძლონ, სხვაფრივ ვერ გაუძლებენ აქაურს ბუნებას. აქაურს ჰავას და ბუნებას შეიშვენევენ უფრო ისინი, ვინც დღესაც თითქმის ამ გვარსავე ჰავისა და ბუნების ქვეყანაში იმყოფებიან. ასეთები არიან დღეს იმერლები და მეგრელები. ეჭვი არ არის, ეს გარემოება ყურადღების ღირსია. ცოდვაა აქ დასახლება იმათი, ვინც ვერ შეიშვენევს ვერაფერს აქაურსა. აქაურის ბუნების ერთი თვისება ის არის, სხვათა-შორის, რომ აქ პური იმდენად არ ხარობს, როგორც სიმინდი და ღომი. უპურობას ძნელად შეეჩვევა ის, ვინც პურით იკვებება. იმერლები და მეგრელები-კი ღომითა და სიმინდითაც იოლად მიდიან. ამასთანავე ამ მცენარეთა შემუშავება ისე კარგად და ადვილად იციან იმერლებმა და მეგრელებმა, რომ ერთი ასად მოჰყავთ და კარგა ბლომადაც ჰყიდიან.

ანთიმოზ ჯუღელი

---

## ჩაის მოყვანა ამიერ-კავკასიაში

(კავკასიის სამეურნეო საზოგად. კრება 6-ს მარტს.)

კარგა ხანია რაც სუხუმში და ოზურგეთში ჩაის ხე კარგად ხეირობს, მაგრამ აქამომდე ჩვენის ჩაის ხის ჩაი კი ვერ დავლიეთ. ამის მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ არ ვიცით ჩაი როგორ უნდა მოვამზადოთ. განსვენებულმა პროფესორმა ბუტლეროვმა უკვე გააკეთა ჩვენის კავკასიის ჩაის ხის ფოთლებიდამ ნამდვილი ჩაი. ვინც-კი დალია ამ ჩაიდამ გაკეთებული სასმელი, ყველა ამბობს, რომ ეს ჩაი გემოთი და სურნელებით არ დაუვარდება ნამდვილ ჩინეთის ჩაისაო. ჩვენში სრულიად არავინ იცის ჩაის მომზადება ისე, როგორც ჩინეთში ამზადებენ, ანუ როგორც განსვენებულ პროფესორს მოუმზადებია და ამიტომ ჩვენში ნახარებ ჩაის ხეს არავითარი სარგებლობა არ მოაქვს და მხოლოდ თვალისათვის თუ აქვს მნიშვნელობა. კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ დიდი ხანია მოინდომა გავრცელება კავკასიის მკვიდრთა შორის ჩაის კეთებისა და მომზადების ხელობისა და ამისათვის ამ სამის წლის წინად მოიწადინა კიდეც და დაიბარა ჩინეთიდამ ამ ხელობის მცოდნე კაცები.

მარტის 6-ს სამეურნეო საზოგადოების კრებაზე ბ-მა დინგელშტეტმა წაიკითხა მოხსენება ჩაის მოყვანის საქმეზე ჩვენს ქვეყანაში. ბ-ნ დინგელშტეტს შეუდგენია თავისი რეფერატი ინგლისელის მონეს წიგნის შემწეობით. მონე ძრიელ დიდი ხანია რაც ჩაის მოყვანას მისდევს ინდოეთში, ძრიელ გამოცდილია ამ საქმეში და შეუძლიან რაიმე სასარგებლო დარიგება მოგვცეს ჩვენაო, სთქვა ლექტორმა. რეფერატი ძრიელ ვრცელი იყო და თითქმის სულ მონეს მონოგრაფიიდამ იყო ამოწერილი. ჩაის მოყვანას დიდი ხანია რაც მისდევენ ჩინეთში; იაპონიაში, ინდოეთსა და კუნძულ ცეილონზე-კი მერე ახარეს ჩაის მცენარე დიდის მეცადინეობისა და შრომის შემდეგ.

საზოგადოდ კარგად არის გამოკვლეული, რა გვარი ჰავა უფრო უხდება ჩაის ხეს. ბ-ნმა დინგელშტეტმა შეადარა სითბო, ნიადაგი და სინესტე იმ ადგილებისა, სადაც ჩაის მოყვანას მისდევენ, ჩვენის ქვეყნის ზოგიერთ ადგილების სითბოს, ნიადაგს და სინესტეს და ამ შედარებიდგან ის დაასკვნა, რომ ჩვენს ქვეყანაში ჩაი ვერ იხეირებსო, მით უფრო, რომ ჩაის მოყვანას ძრიელ დიდი ფული უნდაო. ამაზე ბ-ნმა ზეიდლიცმა სთქვა, რომ ჩვენში ჩაის მოყვანა შესაძლებელიაო. ეს დამტკიცებულია იმით, რომ ჯერ ახლაც, როდესაც არავითარს ყურადღებას არ აქცევენ ამ საგანს, სუხუმისა და ოზურგეთის ბაღებში კარგად გაზდილი ჩაის ხეები სდგასო.

ბ-ნმა კერმიშევმა სთქვა, რომ ჩვენის ქვეყნის ჰავა, სითბო-სიცივე, ნიადაგის თვისება და სხვა გვარი ვითარება ჯერ ისე არ არის კარგად გამოკვლეული, რომ ამ გზით რაიმე უტყუარი დასკვნა გამოვიყვანოთო. რაც შეეხება ადგილის ნესტიანობას, ჩვენ შეგვიძლიან მორწყვით მოვუმატოთ ადგილს სინესტე, სადაც-კი სხვა გვარად ბუნება ხელს უწყობს ჩაის ხესაო და იმის გამო-კი, ვითომ ჩაის მოყვანას დიდი ხარჯი უნდა, ჩვენ ვიტყვით, რომ ბ-ნი დინგელშტეტის აზრი მართალი არ არის, იმიტომ რომ ჩაის დიდი პლანტაცია დიდს ხარჯს მოითხოვსო, მაგრამ თუ ჩვენი გლეხი ისწავლის ჩაის მოვლასა და მოყვანას, მაშინ იმას არ გაუჭირდება ცოტა ხარჯითაც ჩაის ბუჩქის გამრავლება; მაგრამ ჩვენში ჩაის ხელი სრულიად არ იციან და ამაში მდგომარეობს ჩვენი დიდი ხელ-მოკლეობაო. ბ-ნმა ხატისოვმა სთქვა, რომ მონეს აუწერია მარტო დიდი წარმოება ჩაისაო და ეგ სრულიად არა ნიშნავს, რომ მცირედი წარმოება ამ საქმისა არ შეიძლებოდესო. შემდეგ ბ-ნმა ხატისოვმა დაასახელა ერთი ფრანგული მონოგრაფია ჩაის მრეწველობაზე, რომელიც ჩინეთს შეეხება. ჩაი ამ ქვეყანაში, ავტორის სიტყვით, გლეხებს მოჰყავთ თავიანთ პატარა მამულებშიო.

---

## წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

«ივერიის» მე-39 №-ში, «ახალ ამბების» განყოფილებაში მოხსენებულია, ვითომც ტფილისში არსებობდეს კომიტეტი, „რომელსაც ვალადა სძევს თვალ-ყური ადევნოს სასოფლო ბანკებს“, ვითომ «ამ კომიტეტისავე ვალი იყოს, რომ სასოფლო ამხანაგობათა უგზავნოს მზა-მზარეულად დახაზული ქაღალდები დავთრებისა და სხვა საანგარიშო წიგნებისა; მაგრამ-იმავე შენიშვნის სიტყვით—„ამხანაგობათ ამ ბოლოს დროს უნდა ვითომ დაჰვიწყებოდეთ ამ კომიტეტის არსებობა და საჭირო დავთრებს ამ კომიტეტისაგან კი არა, პეტერბურგის კომიტეტისაგან იბარებდნენ“.

ამ შენიშვნის უყურადღებოდ გაშვება არ შემიძლიან, რადგან ამ შემთხვევაში ხმის ამოღება საქმეს თუ არგებს რასმე, თორემ არას ავნებს. ეს პირველი და უმთავრესი; მეორეც, პატივცემულის გაზეთის შენიშვნა მეც მეხება, რადგან სწორედ ამ დღეებში ვაახელი რედაქციას ერთის ამხანაგობის წლიური ანგარიშები, პეტერბურგის, და არა ტფილელის კომიტეტის ანგარიშის ფურცლებზედ დაწერილები. მესამეც, ზემორე მოხსენებულ ტფილისის კომიტეტთან ცოტა რამ სათხოვარიცა მაქვს და, რადგან კერძო წერილით ვერ დავიმსახურე მისი ყურადღება, ვფიქრობ, რომ საქვეყნოდ გამოცხადებულს თხოვნას უფრო ყურად იღებს-მეთქი. ამისთვის უმორჩილესად გთხოვ, ბ-ნო რედაქტორო, ამ მცირე შენიშვნას ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულს გაზეთში.

ჩემის აზრით, ამხანაგობათა კი არა, თითონ მაგ ტფილელმა კომიტეტმა დაივიწყა ჩვენებურ ამხანაგობათა არსებობა და სრულიად არას ჰკითხულობს: არიან კიდევ ჩვენში ამხანაგობანი, თუ არა? ეჭირვებათ მათ რაიმე, თუ არა? და რომ ეგ ეგრეა, იქიდან მტკიცდება, რომ არც ერთხელ მაგ კომიტეტს არსად გამოუცხადებია, — უკეთუ ახლად გასამართი თუ უკვე გამართული ამხანაგობანი რისთვისმე მოგვმართვენ, ჩვენს კომიტეტს აქვს დავთრები და სხვა საჭირო სოფლის ამხანაგობათათვის წიგნები და ანგარიშის ფურცლები. როცა დღეს ჩემდამო რწმუნებულს ამხანაგობას ვმართავდით, როგორც უკუნეთ ბნელში ჩავარდნილი, ისე ვაფათურებდით ხელებს და ვეძებდით ტფილისში კომიტეტს, ვეკითხებოდით ნაცნობსაც და უცნობსაც და მანამ თითონ კომიტეტის დედაბოძს არ წავაწყდით, ვერავისაგან რა გავიგე, სად და რა ადგილას იმყოფება ეს კომიტეტი და თვით იმ დედა-ბოძისაგანაც სამართალს ერთობ გვიან ვეღირსენით.

დღესაც, თუმცა ვიცი, კომიტეტი სად ბინადრობს, მაგრამ რა გამოდის ამ ცოდნით? განა ამით ისიც მეცოდინება თითოეულს დავთარს ამხანაგობისას კომიტეტი როგორ ჰყიდის, რომ გავუგზავნო ღირებული ფასი და მივიღო საღირალი? მაგრამ იქნება კომიტეტს აღარც კი აქვს დავთრები გასასყიდად? ან იქნება დავთრებს გარდა სხვაც ბევრი რამ აქვს ამხანაგობათათვის გამოსადეგი, ვსთქვათ, წესდება ამხანაგობათა, ქართულად დაბეჭდილი და სხვა და სხვა. საიდან უნდა ვიცოდე ყველა ესენი?

ერთის სიტყვით, ამხანაგობათა კი არ დაივიწყეს კომიტეტი, თითონ კომიტეტმა დაივიწყა თავისი მოვალეობა და დანიშნულება და, ვისაც საგანი არსებობისა დაჰკარგვია, მე რა ვიცი, იგი როგორისლა არსებობით უნდა არსებობდეს!?

ბოლოს ნება მიბოძეთ, ბ-ნო რედაქტორო, თქვენის გაზეთის საშუალებით ვსთხოვო კომიტეტს, აღმასრულოს ერთი თხოვნა ან ავად და ან კარგად; აქნობამდის თითონ პეტრეს ქალაქიდანაც კი მივიღებდი იმ გვარის თხოვნის პასუხს, რომ იქაურის კომიტეტისათვის მიმემართა. საქმე აი რაშია: ამ ორის, თუ სამის კვირის წინად მივმართე ტფილელს კომიტეტს და ვსთხოვე, — რაც შეიძლებოდეს, მალე მიბოძეთ თხოვნაში მოხსენებული დავთრები და თან იმის ანგარიშიც, რაც ეღირება ეს დავთრები, რის შემდეგაც პატივცემული კომიტეტი მიიღებს ჩემგან დიდის მადლობით დავთრების ფასს და სხვა ყველა ხარჯსაც გადვიხდი-მეთქი... უდავთრებოდ საქმე გვიბრკოლდება, ვუცდით აი ამდენს ხანს და დღემდის არსად არის არც პასუხი, არც დავთრები, არც ფლავი და არც ჩლავი! თქვენ თითონ განსაჯეთ, ვინ არის ბრალი, კომიტეტი, თუ სოფლის ამხანაგობანი საზოგადოდ?

ნ. წერეთელი

ს. გუბი
23 თებერვალი

---

# უცხოეთი

**ბოლგარია.** სარეგენტო მთავრობას ბოლგარიისას ბრძანება გაუცია, რომ აღმოსავლეთ რუმელიის მკვიდრნი ჯარში უნდა იქმნენ გაყვანილნი 20 წლიდამ 40 წლამდეო. რეგენტები და მინისტრები ბოლგარიისანი ისე არ გამოდიან, თუ არ შეიარაღებულის დარაჯითაო.

— კელნის გაზეთი ამბობს, რომ ბოლგარიის მთავრობამ ვენის ფულის მოსაჭრელ სახლს 1,000 ცალი ვერცხლის მენდალი შეუკვეთა. ამ მენდლებზე პრინც ალექსანდრე ბატტენბერგის სურათი უნდა იყოს ამოჭრილიო.

— ვენაში მისულ ამბებიდგანა სჩანს, რომ კარაველოვი ჯერ კიდევ დაპატიმრებულია ბოლგარიის მთავრობის მიერ. ბოლგარიის მმართველებს სესხად უშოვნიათ 10 მილლიონი მანათი.

— ბელგრადიდგან დეპეშით აუწყებენ ვენის გაზეთებს: აქ მოსულის ცნობებით ვიცით, რომ სოფიაში ასამდე კაცი დაუპატიმრებია მთავრობას ბოლგარიისასაო. ამ ას კაცში რამდენიმე მღვდელია და ცანკოვის ძმის-წულიც ურევიაო.

— სოფიიდგან დეპეშით აუწყებენ გაზ. „Berliner Tageblatt“-ს: სარეგენტო მთავრობამ განკარგულება მოახდინა, რომ სოფიის ყველა მკვიდრთ იარაღი აეყაროს და ნება არა ჰქონდეთ იარაღის სახლში შენახვაო. სოფიის მკვიდრთ დიდის საიმოვნებით წარუდგენიათ ყველა იარაღი, რაც-კი ჰქონიათ, სარეგენტო მთავრობისათვის.

— ვენიდგან დეპეშით აუწყებენ გაზ. „Morning Post“-ს: აქაურ სადიპლომატიო წრეებში იმ აზრისანი არიან, რომ თუ რუსეთი აღმოსავლეთის საქმეში თავს იმაგრებს და მოლოდინის პოლიტიკას მისდევს ჯერ-ჯერობით, ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ რუსეთს განზრახვა აქვს ბოლგარიის საქმეზედ მხოლოდ მაშინ დაიწყოს ზრუნვა და მის თავის სასარგებლოდ გადასაწყვეტად უფრო ღონისძიება იხმაროს, როცა გერმანიის იმპერატორის ვილჰელმის ოთხმოც-და-ათის წლის დაბადების დღესასწაულს მორჩებიან და გადაიხდიანო.

— სილისტრიის არეულობაზედ აი კიდევ რა ამბებს აუწყებენ გაზ. „Times“-ს: შეთქმულობა მალიან კარგად იყო დაწყობილი და თუ ბოლოს საქმე არ გაფუჭებულიყო, უეჭველად გაიმარჯვებდნენ მეამბოხენი და მაშფოთარნი. აი საქმე რაშია: სილისტრიის არეულობის ხელ-მძღვანელობა ბენდერევს და გრუევს ჰქონდათ ნაკისრი. ბენდერევი და გრუევი რუმინიის სამზღვარზე იყვნენ და იქიდგან მოთავეობდნენ არეულობას. იმ დღეს, რა დღესაც არეულობა მოხდა, მდ. დუნაიაზედ ვერ გადავიდნენ, რადგან ყინული დამძრულიყო და თოშები მოჰქონდა. ამიტომ ერთს მეთევზეს გარდასცეს თავისი ინსტრუქციები და დაავალეს, რომ კაპიტანს ხრისტოვს მიუტანეო. მეთევზემ ხრისტოვის მაგიერ სილისტრიის პრეფექტს გარდასცა თურმე და ამით შეიტყო მთავრობამ, რომ აჯანყებას არიან მოწადინებულნიო; ხრისტოვმა-კი, რაკი გაიგო, მთავრობას უკვე შეტყობილი აქვს, რომ არეულობა მოხდებაო, მაშინვე დაიწყო აჯანყება და ამით საქმე გააფუჭაო.

**ინგლისი.** ლონდონში უკვე გამოუცხადებიათ ინგლისის ჯარის 1887—1888 წლის ბიუჯეტი. ჯარის ხარჯად 183,930,000 მანათია გარდაწყვეტილი, შარშანდელ წელზედ 1,607,000 მანათით მეტი. ბიუჯეტთან ერთად გამოსულა სამხედრო მინისტრის სტენგოპის წერილი, რომელშიაც გამოცხადებულია, რომ ინგლისის ჯარი ჩქარა იქმნება საომარ ფეხზედ დაყენებული და რომ ორი დიდი კორპუსი ეხლავე მზად არის და დღესვე შეუძლიან საომარ ველზე გასვლაო. ინგლისის მთავრობა გაცხარებული აიარაღებს თავის ჯარს მალაზინის თოფებით.

**სერბია.** სერბიის სამხედრო მინისტრის ხორვატოვიჩის სამსახურიდგან გამოსვლა პირველში ყველას გაუკვირდა, მაგრამ თუ „Journal des Débats“-ის მიღებულს ცნობებს დავერწმუნებით, ისე საკვირველი აღარ არის ეს ამბავი, როგორც პირველში იყო. ამ გაზეთის სიტყვით, გენერალ ხორვატოვიჩს ამ რამდენისამე თვის წინად მიუმართავს გერმანიისა, რუსეთისა და ავსტრი-ვენგრიისათვის და უთხოვნია, რომ სერბიის ოფიცრებს ნება მიეცით სამხედრო სწავლა შეისრულონ თქვენს მაღალ სამხედრო სასწავლებლებშიო.

რამდენისამე ხნის შემდეგ მინისტრთა რჩევის ერთს კრებაზედ მილანს უთქვამს, რომ რუმინიის ახლო ჩვენი სამზღვრები უნდა გავამაგროთო. ხორვატოვიჩი წინააღმდეგი იყო თურმე რუმინიის ახლო სერბიის სამზღვრების გამაგრებისა. მილანს და მინისტრებს მაინც გარდაუწყვეტიათ, რომ სამზღვრები უნდა გავამაგროთო; ხორვატოვიჩს გამოუცხადებია, რომ თუ ყველანი მაგ აზრს დაადგებით და საბოლოვოდ გარდასწყვეტთ კიდეც სამზღვრების გამაგრებას, ისევ სჯობია მე დამითხოვოთ სამსახურიდგან, რადგან ჩემს თანამდებობას სხვა უფრო უკეთესად შეასრულებს, ვიდრე მე ვასრულებო, და დარბაზიდგან გასულა. გაზეთის სიტყვით, მილანს უთქვამს ხორვატოვიჩისათვის: „თუ თქვენ სერბიის კეთილ-დღეობისათვის არ გინდათ იზრუნოთ, მალიან კარგს იზამთ, რომ არამც თუ მინისტრობიდგან გადადგებოდეთ, არამედ სრულიად დაანებებდეთ კიდეც სერბიის ჯარშია სამსახურს თავსაო“. გენე-

რაცს ხორვატოვიჩს ამ ამბის შემდეგ უთხოვნია, გამანთავისუფლეთ მინისტრობიდგანაცა და ჯარში სამსახურიდგანაცაო, მაგრამ კოროლს მარტო მინისტრობიდგან გადუყენებია და უბრძანებია: ხორვატოვიჩი ისევ იყოს სერბიის ჯარის გენერლად, მხოლოდ ჯარის მთავარ-სარდლად კი სხვა დაინიშნოსო.

# დეპეშა

8 მარტი

პეტერბურგი. დონის ჯარის ოლქისა და დონის მაზრის უსტ-მედვედიცკის სტანციის მოქალაქეთ მიართვეს ხელმწიფე იმპერატორს უქვეშევრდომილესი ადრესი. ამ ადრესით ხსენებულნი მოქალაქენი აცხადებენ თავიანთ ერთგულებს გრძნობათა: მზადა ვართ სიცოცხლე ჩვენი არ დავზოგოთ დასაცველად ხელმწიფისა, დედოფლისა, მემკვიდრე ცესარევიჩისა და სრულიად სამეფო სახლისაო და ხელმწიფისა და სამშობლოს შინაურთა და გარეულთა მტერთა დასამარცხებლადაო. მოქალაქენი სთხოვენ ხელმწიფე იმპერატორს, ნება მოგვეცი ჩერნოვის პატარა სოფელს ნიკოლოზის სოფელი ვუწოდოთ უავგუსტოესის ატამანის პატივსაცემლადაო. ამ სახით ჩამოერეცხება სირცხვილი ჩვენს სტანიცასაო, რადგანაც ერთმა აქ დაბადებულმა აფიცერმა ჩერნოვმა, როგორც გვსმოდ გაიგეთ ქვემორე ამის ხელისმომწერთა, გაჰბედა სამდურავი ხელმწიფისა, დაივიწყა წყალობა თვისის მონარხიისა, არ შეუშინდა მსჯავრსა ღვთისასა და შეამრწუნა მთელი დონი და სირცხვილში ჩააგდო მთელის რუსეთის წინაშეო.

ხელმწიფე იმპერატორმა ინება და უმაღლესად ბრძანა: გამოეცვალოს სახელი ჩერნოვის სოფელს და დაერქვას ნიკოლოზის სოფელი და მადლობა ეთქვას უსტ-მედვედიცკის სტანიცის საზოგადოებას ერთგულებისათვისაო.

გუშინ გარდაიცვალა გულის ტკივილისაგან პოეტი როზენგეიმი, 67 წლისა.

ვარშავა. გუშინ გარდაიცვალა ჟენევაში გამოჩენილი პოლშელი მწერალი კრაშევსკი.

სოფია. საერთო კრება უთუოდ მოწოდებული იქნება მარტის დასასრულს და არა ადრე.

სტამბოლი. ელჩმა ნელიდოვმა სთხოვა სულთანს, ნახვის ნება მიბოძეო. ნახვის ნება მიეცა 13 მარტისათვის, მაგრამ შემდეგ ისევ გადაიდო და რუსეთის ელჩი ხვალ ინახულებს ხონთქარსაო.

9 მარტი

პეტერბურგი. დღეს მთავრობისაგან საყოველთაოდ გამოცხადებულია შემდეგი: „თუმცა 3-ს დეკემბერს 1886 წელსაც იყო ოფიციალურად გამოქვეყნებული: გერმანიას ისეთი განწყობილება აქვს რუსეთთან, რომ საშიშარს არაფერს მოასწავებს, მაინც ზოგიერთი გაზეთები თავისას არ იშლიან და დღესაც ამბობენ, რომ ვითომ გერმანიის მთავრობა ჩვენთან უსიამოვნოდ იყოს და ამ ბოლოს დროს ხომ ამ გაზეთებმა ისე თავ-გასულად და მიდგომით დაიწყეს ლაპარაკი, რომ გერმანიის მთავრობას და მის წარმომადგენელთ ბოლგარიაში ისიც კი დასწამეს, ვითომ ესენი არიან პასუხის-მგებელნი იმ სისხლის ღვრისა, რომელიც რუშჩუკში მოხდა. ყველა, ვინც ასეთ მძიმე დანაშაულობას ბრალადა სდებს ვისმე, ზნეობითად მოვალეა, საბუთები მოიყვანოს თავის სიტყვის დასამტკიცებლად, და თუ ასეთი საბუთები არ არის მოყვანილი, ძნელია ადამიანმა საზღვარი გაატაროს ნამდვილ დანაშაულობის და უქმის სიტყვის ბოროტ-მოქმედების შორის ასეთი საქციელი კი არ შეჰშვენის არც იმ გაზეთის ღირსებას, რომელიც თავის თავს პატივსა სცემს, და არც კერძო კაცის სახელს და ღირსებასა იმპერატორის მთავრობას ამბავი მოუვიდა, რომ გერმანიის უმთავრესმა კონსულმა, შეიტყო თუ არა, რომ რუშჩუკში მომხდარ არეულობის მომხრეთ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტესო, მაშინვე იშუამდგომლა დამნაშავეთ სასარგებლოდ, და თუ ვერა გააწყო-რა ამისი ბრალი არ არის, რადგან დამნაშავენი დაუყოვნებლივ იყვნენ დასჯილნი. გარდა ამისა, გერმანიის კონსულის თანაშემწე რუშჩუკში გამოესარჩლა მსჯავრ-დადებულთა და ამის მადლობელნი უნდა ვიყვნეთ, რომ, სხვათა შორის, სიკვდილს გადაჰრჩა რუსეთის ქვეშევრდომი ბოლმანი. იმპერატორის მთავრობას, როდესაც თავის ინტერესების მფარველობა ბოლგარიაში გერმანიის წარმომადგენლებს მიახდო, საკმაო საბუთი ჰქონდა ასე მოქცეულიყო, მთავრობა ერწმუნებოდა იმათ და ამიტომ სრულიად უსაფუძვლოა ლაპარაკი იმ გაზეთებისა, რომელნიც ცდილობენ მკითხველების თვალში სახელი გაუტეხონ ამ ნდობას. გუშინ ამბავი მოვიდა, რომ მწერლობის მოღვაწე პავლე ვასილის ძე ანენკოვი გარდაიცვალა დრეზდენშიო.

„Новое Время" გვაუწყებს, რომ აწინდელ სავაჭრო რჯულ-დების პროექტი დამატებით და შეცვლით სრულიად მზად არისო. რჯულდება ვექსილების შესახებ სრულიად გამორჩეულია საზოგადო ვაჭრობის რჯულდებისაგან და შემდგარია ცალკე წიგნად, ცალკე სავაჭრო წიგნების შედგენა კი საჭიროდ არ უცვნიათ.

სოფია. გუშინ ფილიპოპოლში დიდი ყრილობა იყო აღმოსავლეთ-რუმელიის სხვა-და-სხვა პროვინციის წარმომადგენლებისა. ყრილობამ გარდასწყვიტა: დავიცვათ ახლად-შეერთებულ ბოლგარიის დამოუკიდებლობაო, და შემდეგ შეადგინეს პატრიოტების საზოგადოება, რომლის თავ-მჯდომარედ ჩუმაკოვია. საზოგადოება კისრულობს, დაუცხრომელად და მხნედ სდევნოს როგორც შინა მტერი, ისე გარეთი.

## „ივერიის" ფოსტა

უგუნურს. რაღაცას იმუქრებით. ვიცით თქვენის კეთილის გულის ამბავი: თქვენგან არა გაგვიკვირდება-რა:

კარგი რამ გქირდეს, გვიკვირდეს, —
ავი რა საკვირველია!

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპზ (1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7395.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

აღდგომა—5 აპრილს, ამაღლება 14 მაისს, სულის წმინდის მოსვლა 24 25, პეტრე-პავლეს მარხვა 1 ივნისს. ეს მარხვა 1887 წელს 4 კვირით არის.

მარტი 31 დღით არის

10 დღე ხამშაბათი. წმ. კონრადისა. კათოლ. გერმანისა. სომეხ. მე-23 დღე დიდ-მარხვიდგან. მუსულ. მე-28 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ახირისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—7. ტფილისში მზე ამოდის 6—0, ჩადის 6—15. მთვარე 28 დღისაა.

11 დღე ოთხშაბათი. წმ. სოფრონისა. კათოლ. ევლავიასი და პელაგიასი. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—7. ტფილისში მზე ამოდის 5—58, ჩადის 6—16.

12 დღე ხუთშაბათი. ღირსისა თეოფილესი. კათოლ. გრიგოლისა და თიბერიასი. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 5—57, ჩადის 6—17. შობა მთვარისა 7 საათსა და 14 წუთზედ საღამოს.

13 დღე პარასკევი. ნიკიფორე პატრიარხისა. კათოლ. ეკატერინესი, ხრისტინასი და ზოზიმესი. მუსულ. 1-ლი რიცხვი თთვისა რეჯაბისა, 1304 წ. ჰიჯრისა. დაბადება მე-5 იმამის მამედ ბენი-ალისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 5—55, ჩადის 6—18.

14 დღე შაბათი. ღირსისა ბენედიქტესი. კათოლ. მატილდასი, ზაქარიასი და პეტრესი. სომეხ. წმ. 40 ყრმათა სებასტიელთა. დამტკიცებულ იქმნა მთავრობის მიერ წესდება კავკასიის არხეოლოგიის მოყვარეთა საზოგადოებისა, 1873 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 5—53, ჩადის 6—20. მთვარე 3 დღისაა.

15 დღე კვირა. წმ. მოწ. აღაპისა და ექვსთა მოწამეთა. მე-5 კვირა დიდ-მარხვისა. კათოლ. ლონგინისა და ლუკრეციასი. სომეხ. მე-28 დღე დიდ-მარხვიდგან. მუსულ. მე-3 რიცხვი თთვისა რეჯაბისა, 1304 წ. ჰიჯრისა. გარდაცვლა იმამის ალი-თაღიასი (შიიტებს).

16 დღე ორშაბათი. წმ. მოწ. საბინესი. კათოლ. იულიანისა და გელიარიასი. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—5. ტფილისში მზე ამოდის 5—50, ჩადის 6—22. მთვარე 5 დღისაა.

17 დღე სამშაბათი. ღირსისა ალექსი ღვთის კაცისა. კათოლ. გერტრუდისი და პატრიკიასი. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—5. ტფილისში მზე ამოდის 5—48, ჩადის 6—23.

## მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. | სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | დილით | | | |
| ტფილისი | — | — | 8 | 49 | ბათუმი | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი | 10 | 3 | 10 | 05 | სუფსა | 9 | 55 | 10 | 2 |
| კასპი | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი | 10 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი | 10 | 51 | 10 | 53 |
| გორი | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი | 12 | 8 | 12 | 11 | სამტრედია | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი | 12 | 13 | 12 | 16 |
| ხაშური | 1 | 2 | 1 | 17 | რიონი | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი | 2 | — | 2 | 3 | ყვირილა | 1 | 58 | 2 | 10 |
| ბეჟათუბანი | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი | 3 | 45 | 3 | 48 | ბელაგორი | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელაგორი | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა | 4 | 45 | 4 | 48 | ბეჟათუბანი | 4 | 18 | 4 | 37 |
| ყვირილა | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი | 6 | 14 | 6 | 16 | | საღამოთი | | | |
| | საღამოთი | | | | სურამი | 6 | 2 | 6 | 5 |
| რიონი | 6 | 29 | 6 | 44 | ხაშური | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი | 7 | 08 | 7 | 10 | გომი | 6 | 50 | 6 | 54 |
| სამტრედია | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო | 8 | 5 | 8 | 7 | გორი | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი | 9 | 7 | 9 | 9 |
| ნატანები | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა | 9 | 52 | 9 | 54 |
| ბათუმი | 11 | 13 | — | — | ტფილისი | 10 | 15 | 10 | 46 |

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 50 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დლისით | | | | | ლამით | | | |
| ტფილისი | — | — | 3 | 21 | სურამი | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა | 3 | 46 | 3 | 49 | ხაშური | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა | 4 | 19 | 4 | 25 | გომი | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი | 5 | 24 | 5 | 29 | გორი | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი | 5 | 46 | 5 | 51 |
| | საღამოთი | | | | | დილით | | | |
| გორი | 6 | 31 | 6 | 45 | კასპი | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთა | 7 | 24 | 7 | 32 |
| ხაშური | 8 | 24 | 8 | 38 | ავჭალა | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი | 8 | 50 | — | — | ტფილისი | 8 | 24 | — | — |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, სამზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით-

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით, იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით — დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემს

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს გადაზე გემები

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ საჭირო ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანაოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

## კერძო განცხადებანი


თამბაქო და პაპიროსები

დონის როსტოველ მეფაბრიკეთა

ძმათა ასლანიდებისა.

მაღაზია ყალამქაროვის სახლშია, სასახლის ქუჩაზე, ტფილისში.

გვაქვს პატივი ვაცნობოთ პაპიროსის მწეველთა და თუთუნის ვაჭართა, რომ ამა წლის 15 თებერვლიდგან ჩვენ დავიწყეთ თამბაქოს ვაჭრობა; ვჰყიდით ყველა გვარისა და ღირსების თუთუნსა და პაპიროსებს ჩვენის ფაბრიკისას. ჩვენი თუთუნი ისეთის განსაკუთრებულის თვისებისაა, ისეთი კარგი მოსაწევია, გრილია და სასიამოვნოდ სუნელოვანი, რომ დიდი ხმა აქვს გავარდნილი და დიდ-ძალიც ისყიდება რუსეთის იმპერიის ბევრს დიდს ქალაქებში და სამზღვარ-გარედ. ტფილისში და ამიერ-კავკასიაში დღემდე ჩვენი თუთუნი არ იყო ხმარებაში. ამიტომ დღეს გავმართეთ ზემოხსენებული საფაბრიკო მაღაზია და გსურს გავავრცელოთ ჩვენის ფაბრიკის თუთუნი. უმორჩილესად ვსთხოვთ პაპიროსისა და თუთუნის მწეველთ, ინებონ და იგემონ ჩვენის ფაბრიკის თუთუნი და პაპიროსები.

ბბ-ნთ ვაჭართ იმდენი დავუთმობათ თუთუნის ყიდვის დროს, რამდენსაც საზოგადოდ ფაბრიკები უთმობენ ხოლმე.

მეფაბრიკენი ძმანი ასლანიდები

(25—2)


Дов. цена. Тиф. 9 марта. 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе" (Н. И. Френкель) Караванъ-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე